ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში სტაჟირების მსურველი პირის შეფასების კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № სტ--03

ქ. ბათუმი **„30“ „აგვისტო“** 2024 წ.

სხდომას ხელმძღვანელობდა: ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერაში **სტაჟირების მსურველი პირის** შეფასების კომისიის თავმჯდომარე, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსის მ/შ - **რამაზ მამულაძე**

სხდომას ესწრებოდნენ საკონკურსო კომისიის წევრები: ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერაში **სტაჟირების მსურველი პირის** შეფასების კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - **კახა დიასამიძე**

ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სასამართლოსთან ურთიერთობის და ადმინისტრაციული დავების განყოფილების უფროსის მ.შ. - **მუხრან ჯორბენაძე**

ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის ადამიანური რე-სურსების მართვის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - **ნინო კერვალიშვილი**

ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის უფროსი - **რუსუდან ჟოჟაძე**

ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი - **მამუკა დარჩია**

ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - **ედნარ ნატარიძე**

ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის სპირტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი - **მერაბ ქიძინიძე**
ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონებისა და სერვისების სამსახურის უფროსი - **დავით კოპინაძე**

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ და სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის **2024 წლის 1 აგვისტოს „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში სტაჟირების მსურველი პირების შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ“ № ბ 14. 142421410** ბრძანების შესაბამისად, არსებულ (დარჩენილ) **24** ვაკანტურ თანამდებობაზე, კონკურსის **მეორე ეტაპის - გასაუბრების** (**27.08.2024**) შედეგების ცნობად მიღება და დამტკიცება.

2. კონკურსის საბოლოო შედეგების მიხედვით **გამარჯვებულის** გამოვლენა.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების ინფორმაცია მიმდინარე წლის **27 აგვისტოს** ჩატარებული, კონკურსის **მეორე ეტაპის - გასაუბრების** შედეგების შესახებ, რის საფუძველზეც დგინდება, რომ **24** ვაკანტურ პოზიციაზე მონაწილე 54 კანდიდატიდან, კონკურსზე გამოცხადდა **28** კანდიდატი, ხოლო არ გამოცხადდა **26** კანდიდატი.

კ ო მ ი ს ი ა მ დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ცნობად იქნეს მიღებული და დამტკიცდეს **2024 წლის 01 აგვისტოს „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში სტაჟირების მსურველი პირების შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ“ № ბ 14. 142421410** ბრძანებით გათვალისწინებული **სტაჟირების მსურველი პირის ვაკანტური პოზიციების** დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის **მეორე ეტაპის** - გასაუბრების **შედეგები,** თანახმად დანართისა.

2. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებამ უზრუნველყოს შემდეგი ღონისძიებები:

ა) იმ კანდიდატებს, რომლებიც **სტაჟირების** კონკურსის **მეორე ეტაპზე** (გასაუბრება) კონკურსის საბოლოო შედეგების მიხედვით **ვერ გამოვლინდნენ** გამარჯვებულად, მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოთ მათ მიერ მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე შეტყობინების გაგზავნით.

ბ) იმ კანდიდატებს, რომლებმაც **სტაჟირების** კონკურსის **მეორე ეტაპზე** (გასაუბრება)) **წარმატებულად გადალახეს** და კონკურსის საბოლოო შედეგებით **გამოვლინდნენ გამარჯვებულად,** შედეგები ეცნობოთ მათ მიერ მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე შეტყობინების გაგზავნით, წინამდებარე ოქმის ოფიციალურად ძალაში შესვლისა და გამოქვეყნების შემდგომ.

გ) კანდიდატთა ინფორმირების მიზნით კომისიის გადაწყვეტილება - კომისიის სხდომის ოქმი და ოქმის დანართი განთავსდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე **www.batumi.ge**

3. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებები და შედეგები შეიძლება **გასაჩივრდეს სასამართლოში** დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კომისიის თავმჯდომარე: _____ რამაზ მამულაძე

კომისიის წევრები:

_____ ვახა დიასამიძე

_____ მუხრან ჯორბენაძე

_____ ნინო კერვალიშვილი

_____ რუსუდან ჟოჟაძე

_____ მამუკა დარჩია

_____ ედნარ ნატარიძე

_____ მერაბ ქიძინიძე

_____ დავით კოპინაძე